ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3030274

ნომერი: AR1462907

თარიღი : 13.12.2016

გაცემის თარიღი : 09.01.2017

გაცნობის თარიღი : 09.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 35 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა ბაგაური პ/ნ 01005006768
- თბილისი გ.ცაბაძის ქ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლეილა ბაგაური
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005006768

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლეილა ბაგაური

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N50, 22.12.2016 წ), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N35-ში (ძეგლის ტერიტორია) მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.
წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:

- 2016 წლის 12 დეკემბრის N 80/105-02 თანხმობა მისაღები არ არის. წარმოდგენილი უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა, ან იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მალხაზ ალიკოშვილს ჰქონდა თანხმობის გაცემის უფლებამოსილება;
- წარმოდგენილი გენგეგმა არ შეესაბამება საკადასტრო გეგმას, ამასთან წარმოდგენილი გენგეგმის მიხედვით არსებული შენობა სცდება საკადასტრო საზღვრებს;
- არ არის წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით;
- წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი მშენებლობის ორგანიზების პროექტი. ამასთან, მშენებლობის ორგანიზების პროექტის კალენდარულ გრაფიკში მითითებულია გარკვეული სახის სადემონტაჟო სამუშაოები. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. ამავე კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა".

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.